



Ministry of Environment Protection  
and Natural Resources of Georgia



## ხელშეკრულება

სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის  
განვითარების შესახებ

საქართველოს მთავრობასა და  
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას (BTC) და  
სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას (SCP) შორის  
(საგრანტო ხელშეკრულება)

2010 წლის 01 თებერვალი

### **AGREEMENT ON SATAPLIA STATE RESERVE INFRASTRUCTURE DEVELOPMENT (GRANT AGREEMENT)**

**BETWEEN THE GOVERNMENT OF GEORGIA  
AND  
BTC Co and SCP Co**

February 01, 2010

# Contract

# ხელშეკრულება

This Agreement for Sataplia State Reserve Infrastructure Development (the "Grant Agreement") is entered into on January 28, 2010 between The Baku Tbilisi Ceyhan Pipeline Company ("BTC Co") and the South Caucasus Pipeline Company ("SCP Co"), represented by General Manager Neil Dunn, both registered to do business in Georgia (collectively "Pipeline Companies") and The Government of Georgia, represented by the Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia (Minister Giorgi Khachidze) (the "Government").

In this Grant Agreement, the Pipeline Companies and the Government are referred to individually as a "Party", and collectively as "Parties".

## Preliminary Statement

WHEREAS, Pipeline Companies and their shareholders are committed to working with the Government to promote economic and social development in Georgia and improve the health, safety and welfare of the Georgian people;

WHEREAS, the Government recognizes and confirms that the BTC and SCP pipeline projects (the "Pipeline Projects") are of vital strategic importance for Georgia and reaffirms its commitment to working with the Pipeline Companies in accordance with the Project Agreements so that, amongst other things, the Pipeline Projects' benefits can begin to accrue for the people of Georgia;

WHEREAS, Pipeline Companies are committed to fulfill their obligations under the BTC HGA and SCP HGA and respective Government-approved Environmental and Social Impact Assessments (ESIA)

წინამდებარე ხელშეკრულება სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ (შემდგომში "საგრანტო ხელშეკრულება") გაფორმებულია 2010 წლის 28 იანვარს, საქართველოში მეწარმედ რეგისტრირებულ კომპანიებს - „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია“ (შემდგომში „BTC Co“) და „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია“ (შემდგომში „SCP Co“) (შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მილსადენის კომპანიები“) წარმოდგენილი გენერალური მენეჯერის ნილ დანის სახით და საქართველოს მთავრობას შორის, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (მინისტრის - გიორგი ხაჩიძის) მიერ (შემდგომში „მთავრობა“).

წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულებაში მილსადენის კომპანიები და მთავრობა ცალ-ცალკე იწოდებიან როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად - „მხარეები“.

*ვინაიდან*, მილსადენის კომპანიები და მათი აქციონერები ვალდებულია იღებენ ითანამშრომლონ მთავრობასთან, რათა ხელი შეუწყონ საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და გააუმჯობესონ საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა;

*ვინაიდან*, მთავრობა აღიარებს და ადასტურებს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტებს (შემდგომში „მილსადენის პროექტები“) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის და კიდევ ერთხელ ადასტურებს ნაკისრ ვალდებულებას, ითანამშრომლოს მილსადენის კომპანიებთან, პროექტის ხელშეკრულებების შესაბამისად, იმგვარად, რომ სხვა ასპექტებთან ერთად, მილსადენის პროექტები სარგებლიანი გახდეს საქართველოს მოსახლეობისათვის.

*ვინაიდან*, მილსადენის კომპანიები კისრულობენ ვალდებულებას შეასრულონ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის „ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების“ და სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტის „ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებისა“ და მთავრობის მიერ დამტკიცებული შესაბამისი „ბუნებრივ და სოციალურ

WHEREAS, Pipeline Companies are committed to compensate for the forest areas removed (total 105 ha) during the BTC/SCP pipeline construction (and which cannot be re-established in their original location) by assisting in the environmental project.

WHEREAS, Parties had number of meetings, exchange of correspondence throughout 2004-2009 with the involvement of respective Austrian experts and finally Pipeline Companies and the Government have determined and agreed on Grant Amount for assisting in the environmental project to THREE MILLION FIVE HUNDRED THOUSAND US DOLLARS (US \$3,500,000) to be evenly allocated in 2010 and 2011.

WHEREAS, the Pipeline Companies and the Government have agreed the Grant to be fully used for the Sataplia State Reserve Infrastructure Development Project (the "Development Project") as described in Annex 2 and that the Pipeline Companies shall have no further obligations on the forest areas removed during the BTC/SCP pipeline construction, with the exception of obligations undertaken in Bio-restoration Specification Plan.

WHEREAS, the Pipeline Companies and the Government have further agreed that the part of the revenue stream resulted from the development of Sataplia State Reserve infrastructure, to be used for the implementation of biodiversity projects in the Sataplia State Reserve (or elsewhere in Georgian protected areas for similar purposes).

And

NOW, THEREFORE, the Parties hereby agree as follows:

**Article 1: Commitment by the Pipeline Companies**

PIPELINE COMPANIES hereby agree to give grant to the Government totaling THREE MILLION FIVE

გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ („ბსგზშ“) შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებები;

*ვინაიდან*, მილსადენის კომპანიები კისრულობენ ვალდებულებას BTC/SCP მილსადენების მშენებლობის დროს გაკაფული ტყიანი ფართობების (სულ 105 ჰა, რომლის აღდგენა თავდაპირველ ადგილზე შეუძლებელია). კონსენსირება განახორციელონ გარემოსდაცვით პროექტში მხარდაჭერის გზით.

*ვინაიდან*, 2004-2009 წლებში მილსადენის კომპანიებსა და მთავრობას შორის ამ საკითხზე გაიმართა მრავალი შეხვედრა და მიმოწერა თითოეული მხარის ავსტრიელი ექსპერტების მონაწილეობით და საბოლოოდ მილსადენის კომპანიები და სამინისტრო შეთანხმდნენ მილსადენის კომპანიების მიერ გარემოსდაცვითი პროექტის მხარდაჭერის მიზნით გრანტის სახით გამოყოფილ იქნას სამი მილიონ ხუთასი ათასი აშშ დოლარი (\$3'500'000), რომელიც 2010 და 2011 წლებზე თანაბრად გადანაწილდება.

*ვინაიდან*, მილსადენის კომპანიები და მთავრობა შეთანხმდნენ, რომ გრანტი სრულად მოხმარდება სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტს (შემდგომში „განვითარების პროექტი“), როგორც ეს აღწერილია დანართ №2-ში და მილსადენის კომპანიებს სხვა რაიმე ვალდებულება არ გააჩნიათ BTC/SCP მილსადენების მშენებლობის დროს მოტრილ ტყესთან დაკავშირებით, გარდა ბიოაღდგენის სპეციფიკაციის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებებისა.

*ვინაიდან*, მილსადენის კომპანიები და მთავრობა ასევე შეთანხმდნენ, რომ სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად მიღებული შემოსავლების ნაწილი მოხმარდეს სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალში (ან სხვაგან საქართველოს დაცულ ტერიტორიებში იგივე მიზნებს) ბიომრავალფეროვნების პროექტების განხორციელებას.

მაშასადამე, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

**მუხლი 1. მილსადენის კომპანიების ვალდებულება**

წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულებით მილსადენის კომპანიები აცხადებენ თანხმობას, რომ მთავრობას

HUNDRED THOUSAND US DOLLARS (US \$3,500,000) (the "Grant"), subject to the terms and conditions set out in this Grant Agreement. The THREE MILLION FIVE HUNDRED THOUSANDS USD (US \$3,500,000) shall be paid in two installments: first ONE MILLION SEVEN HUNDRED THOUSAND FIFTY (1,750,000 USD) installment during year 2010 and second ONE MILLION SEVEN HUNDRED THOUSAND FIFTY (1,750,000 USD) installment in 2011. Subject to Article 4 below, the payments shall be made pursuant to the attached TABLE (please see attachment #1)

**Article 2: Receipt and Use of Grant**

The Government agrees that Grant will be used by the Agency of Protected Areas of Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia (the "Project Implementer") solely for the purpose of the Development Project identified in Attachment #2.

The Grant made pursuant to this Grant Agreement shall be recorded in the State budget receipts.

No Grant shall be used by the Government in a manner that violates Georgian laws and anti bribery and anti corruption International Treaties/Conventions/Norms member of what State Georgia is, the United Nations Norms on the Responsibilities of Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights, or is inconsistent with the Joint Statement on the BTC Pipeline Project. No Grant may be used by the Government to fund any political activities, including without limitation political campaigning, lobbying and political party activities.

გამოყონ გრანტი სამი მილიონ ხუთასი ათასი აშშ დოლარის (\$3'500'000.00) ოდენობით (შემდგომში „გრანტი“), წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. სამი მილიონ ხუთასი ათასი აშშ დოლარის (\$3'500'000.00) გადახდა მოხდება ორ ნაწილად: 2010 წელს გათვალისწინებულია თანხის პირველი ნახევრის – ერთი მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათასი აშშ დოლარის (\$1'750'000.00) გადახდა, ხოლო 2011 წელს – კიდევ ერთი მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათასი აშშ დოლარის (\$1'750'000.00) გადახდა. აღნიშნული გრანტის გადახდა განხორციელდება წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირობების გათვალისწინებით, თანდართული გრაფიკის მიხედვით (გთხოვთ იხილოთ დანართი №1).

**მუხლი 2. გრანტის მიღება და გამოყენება**

მთავრობა აცხადებს თანხმობას, რომ გრანტის თანხის ათვისება მოხდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ მიერ (შემდგომში „პროექტის განმახორციელებელი“) მხოლოდ დანართ №2-ში აღწერილი განვითარების პროექტის საჭიროებისათვის.

წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად გამოყოფილი გრანტი აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

დაუშვებელია მთავრობის მიერ გრანტის გამოყენება იმ ფორმით, რომელიც არღვევს საქართველოს კანონმდებლობას, ანტიმექრთამეობისა და ანტიკორუფციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებებს/კონვენციებს/ნორმებს, რომელთა წევრი არის საქართველო, გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სხვა საწარმოების პასუხისმგებლობის ნორმების პრინციპებს და ეწინააღმდეგება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის „ერთობლივ განცხადებას“. დაუშვებელია აღნიშნული გრანტის გამოყენება მთავრობის მიერ რაიმე პოლიტიკური საქმიანობის დასაფინანსებლად, რაც, შეზღუდვების გარეშე, მოიცავს პოლიტიკური კამპანიის წარმოებას, ლობირებას და პოლიტიკური პარტიის საქმიანობას.



**Article 3: Transparency and Audit**

The Parties are committed to the principles of transparency and accountability in implementation of the Grant Agreement. Accordingly, this Grant Agreement will be made publicly available by the Parties in English and Georgian promptly following its execution, including by way of posting by the Pipeline Companies of the text of the agreement to a public internet site.

The Government shall prepare and maintain reporting on a cash basis showing its funding meeting the criteria of Article 2. The Government shall keep detailed and verifiable records of all items of expenditure.

Pipeline Companies will transfer the relevant Grant to the treasury's foreign currency account on or before the due date, subject to the requirements of Article 4 below. The Grant payment will be afterwards converted into Georgian Lari and transferred to the Treasury Single Account.

Pipeline Companies shall have the right to engage, at their sole expense, an independent third party firm of auditors of international reputation (the "Auditor") to review the use of Grant made under this Grant Agreement to verify that the Grant have been used in compliance with the terms of this Grant Agreement. Pipeline Companies will provide a copy of the terms of reference of the Auditor to the Government prior to the first audit. The Government agrees to provide all information and assistance, including access to records and individuals, to the Auditor as required for the Auditor to review and confirm each Report and to verify that the Grant have been used in compliance with the terms of this Grant Agreement. The Auditor shall report its findings to the Parties promptly following the completion of each audit and an executive summary of such report (in English and Georgian) shall be made publicly available by the Pipeline Companies.

**მუხლი 3. გამჭვირვალობა და აუდიტი**

*მხარეები* კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულების პრინციპები წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულების განხორციელების პროცესში. შესაბამისად, *მხარეები* წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულებას, მისი გაფორმებისთანავე გახდიან ხელმისაწვდომს საზოგადოებისთვის, ინგლისურ და ქართულ ენებზე, რაც ასევე გულისხმობს, *მილსადენის კომპანიების* მიერ საგრანტო ხელშეკრულების ტექსტის განთავსებას საჯარო ინტერნეტ-გვერდზე.

*მთავრობა* აწარმოებს ანგარიშებს საკასო ოპერაციების საფუძველზე, რომელთა მეშვეობით დადასტურდება, რომ *გრანტის* გამოყენება ხორციელდება მე-2 მუხლში მითითებული პირობების დაცვით. *მთავრობა* აწარმოებს ხარჯების დეტალურ ჩანაწერებს ისეთი ფორმით, რომელიც გადამოწმებას ექვემდებარება.

*მილსადენის კომპანიები* *გრანტის* შესაბამის რაოდენობას ჩარიცხავენ სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიშზე, არაუგვიანეს დადგენილი ვადისა, საგრანტო ხელშეკრულების მე-4 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. ამის შემდეგ მოხდება ჩარიცხული *გრანტის* კონვერტაცია ლარში და მისი ჩარიცხვა ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

*მილსადენის კომპანიები* უფლებამოსილნი იქნებიან, საკუთარი ხარჯებით დაიქირაონ საერთაშორისო რეპუტაციის მქონე აუდიტორული ფირმა, როგორც დამოუკიდებელი მესამე მხარე (შემდგომში „აუდიტორი“), რომელიც შეამოწმებს, სწორად ხორციელდება თუ არა წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი *გრანტის* გამოყენება საგრანტო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. *მილსადენის კომპანიები*, პირველი აუდიტის ჩატარებამდე, *მთავრობას* წარუდგენენ *აუდიტორის* ტექნიკურ დავალებას. *მთავრობა* თანხმობას აცხადებს, უზრუნველყოს *აუდიტორისთვის* ყველა ინფორმაციის მიწოდება და მისთვის დახმარების გაწევა, მათ შორის, ხელმისაწვდომი გახადოს სათანადო ჩანაწერები და თანამშრომლები, რაც *აუდიტორს* დაეხმარება, რომ განიხილოს თითოეული ანგარიში და დაადასტუროს, რომ *გრანტის* ათვისება ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. თითოეული აუდიტის დასრულებისთანავე, *აუდიტორი* თავის დასკვნებს მოახსენებს *მხარეებს*, ხოლო აუდიტის ანგარიშის დასკვნით შედეგებს *მილსადენის კომპანიები* საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს გახდიან (ინგლისურ და ქართულ ენებზე).

**Article 4: Conditions to Payments**

Pipeline Companies shall have no obligation to pay Grant installment and may give the Government Notice if at the time Grant installment is due:

- (1) *The Government is then not in compliance with the terms of this Grant Agreement or has repudiated its obligations under this Grant Agreement;*
- (2) *The Auditor has determined that Grant were used for purposes other than the Development Project set out in this Grant Agreement (attachment#1);*
- (3) *The Plan or Report specified below (article 4) has not been provided; or*
- (4) *Development Project work has not been performed consistent with the Plan;*

No later than within 10 (ten) working days upon the execution of the Grant Agreement, the Government shall submit a Plan (in English and Georgian) to the Pipeline Companies describing the Development Project program to be completed in 2010 and 2011 as identified in Annex 2. The Plan shall describe the anticipated infrastructure development works to be performed, appropriate cost and approximate dates of completion. Within 30 calendar days of receiving an acceptable Plan, the Pipeline Companies shall provide the first payment identified in Article 1. Thereafter, the Pipeline Companies will make subsequent second payment only if the Government has prepared and provided Pipeline Companies with the Report (in English and Georgian) specified in Article 1 showing the progress Government has made pursuant to its Plan, and that all Grant payments made pursuant to this Grant Agreement have been spent for their intended purpose.

**მუხლი 4. გადახდის პირობები**

მილსადენის კომპანიები არ იქნებიან ვალდებული გადაიხადონ გრანტის შესაბამისი ნაწილი, რის შესახებაც უნდა გაუგზავნონ მთავრობას შესაბამისი შეტყობინება, იმ შემთხვევაში, თუ გრანტის გადარიცხვის თარიღისათვის:

- (1) მთავრობა არღვევს წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულების პირობებს ან უარს აცხადებს საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- (2) აუდიტორმა დაადგინა, რომ გრანტი გამოყენებულ იქნა რაიმე სხვა მიზნით, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული განვითარების პროექტის გარდა;
- (3) არ არის წარმოდგენილი მეოთხე მუხლით განსაზღვრული გეგმა ან ანგარიში; ან
- (4) განვითარების პროექტით გათვალისწინებული სამუშაო არ ჩატარდა გეგმის მიხედვით;

წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, მთავრობამ მილსადენის კომპანიებს უნდა წარუდგინოს გეგმა (ინგლისურ და ქართულ ენებზე), რომელშიც გაწერილი იქნება განვითარების პროექტის ფარგლებში 2010 და 2011 წლებში შესასრულებელი ღონისძიებების პროგრამა, როგორც ეს დანართი №2-ით არის განსაზღვრული. გეგმა უნდა შეიცავდეს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დაგეგმილი სამუშაოების აღწერას, შესაბამის ხარჯებს და სამუშაოების დასრულების მოსალოდნელ თარიღებს. მილსადენის კომპანიებმა, მათთვის მისაღები გეგმის მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, უნდა უზრუნველყონ პირველ მუხლში მითითებული პირველი თანხის გადახდა. ამის შემდეგ, მილსადენის კომპანიები თანხის მეორე ნაწილს გადაიხდიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა მოამზადებს და მილსადენის კომპანიებს წარუდგენს პირველ მუხლში მითითებულ ანგარიშს (ინგლისურ და ქართულ ენებზე), რომელშიც ასახული იქნება, თუ რა წინსვლა აღინიშნა მთავრობის მხრიდან გეგმის განხორციელების პროცესში და დადასტურდება, რომ საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით გამოყოფილი გრანტი მიზნობრივად არის დახარჯული.

**Article 5: Taxes**

The Government agrees and confirms that no Tax of any kind shall be charged to or paid by Pipeline Companies, any Project Participant or by any of their affiliates or shareholders in connection with this Grant Agreement or the transfer of the Grant to the Government. No part of the Grant will be applied to pay any value added tax or other tax or meet any tax liability. In no circumstances will any amounts in excess of THREE MILLION FIVE HUNDRED THOUSAND US DOLLARS (US \$3,500,000), be payable by Pipeline Companies as a result of deduction or withholding of Georgian taxes from the Grant.

**Article 6: Representations and Warranties**

Each Party represents, warrants and agrees that:

- (1) *The entry into and performance by it of its obligations under this Grant Agreement has been duly authorized in accordance with applicable law;*
- (2) *This Grant Agreement is its legally binding obligation, enforceable against it in accordance with its terms, subject in the case of Pipeline Companies to bankruptcy, insolvency, fraudulent transfer, reorganization, moratorium and similar laws of general applicability relating to or affecting creditors' rights and to general equity principles;*
- (3) *The person executing this Grant Agreement is entitled and authorized in accordance with applicable law to do so; and*
- (4) *The entry into and performance by it of its obligations under this Grant Agreement will not violate any applicable law or contract to which it is a party.*

**მუხლი 5. გადასახადები**

მთავრობა აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ მილსადენის კომპანიებს, რომელიმე პროექტის მონაწილეს, მათ აფილირებულ პირებს და აქციონერებს არ დაეკისრებათ რაიმე სახის საგადასახადო ვალდებულება საგრანტო ხელშეკრულებასთან კავშირში ან მთავრობისთვის გრანტის გადარიცხვის გამო. დაუშვებელია გრანტის რაიმე ნაწილის გამოყენება დამატებული ღირებულების ან სხვა გადასახადის, ან რაიმე საგადასახადო ვალდებულების დასაფინანსებლად. მილსადენის კომპანიებს არც ერთ შემთხვევაში არ დაეკისრებათ სამი მილიონ ხუთასი ათას აშშ დოლარზე დამატებით რაიმე თანხის გადახდა, ამ გრანტიდან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გამოკლების ან დაკავების გამო.

**მუხლი 6: განცხადებები და გარანტიები**

თითოეული მხარე აცხადებს, გარანტიას იძლევა და თანხმდება, რომ:

- (1) *იგი შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით სრულად უფლებამოსილია შესრულოს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;*
- (2) *საგრანტო ხელშეკრულება წარმოადგენს მის იურიდიულ ვალდებულებას, რომლის შესრულება ხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და მილსადენის კომპანიებზე ვრცელდება მათი გაკოტრების გადახდისუნარიანობის, თაღლითურ გადაცემის, რეორგანიზაციის, მორატორიუმის შემთხვევებში და ზოგადი გამოყენების მსგავსი კანონებით, რომლებიც გაელენას ახდენენ კრედიტორების უფლებებზე და სამართლიანობის ზოგად პრინციპებზე, განსაზღვრულ შემთხვევებში;*
- (3) *პირს, რომელიც ხელს აწერს საგრანტო ხელშეკრულებას, გააჩნია ამგვარი უფლებამოსილება, კანონმდებლობის შესაბამისად; და*
- (4) *მის მიერ საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება არ დაარღვევს რომელიმე შესაბამის კანონმდებლობას ან კონტრაქტს, რომლის მხარესაც ის წარმოადგენს.*

**Article 7: Liabilities and General Release**

Pipeline Companies shall have no liability under this Grant Agreement other than the obligation to make Grant payments in accordance with this Grant Agreement. The Government shall indemnify and hold harmless Pipeline Companies against any third party claims, losses or damages of whatsoever nature arising from or in connection with the Grant payments and/or the execution and/or performance of this Grant Agreement.

By this Grant Agreement and in consideration of the payment of the Grant the Government does hereby release and discharge Pipeline Companies and their shareholders, affiliates, employees and agents from all claims for the forest areas removed during the BTC/SCP pipeline construction, with the exception of obligations related to Bio-restoration Specification Plan

**Article 8: Communication**

The following addresses shall be used for any communication in connection with the Grant Agreement:

BTC Co or SCP Co  
Point of contact: Gia Gvaladze  
Address: 38 Saburtalo Street, Tbilisi  
Tel.: +99532 59 34 00  
E-Mail: [gvaladzg@bp.com](mailto:gvaladzg@bp.com)

Agency of Protected Areas of Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia  
Point of contact: Giorgi Shonvadze  
Address: 6 Gulua Street, Tbilisi  
Tel/Fax.: +99532 75 23 53  
E-mail: [gshonvadze@gmail.com](mailto:gshonvadze@gmail.com)

Any notice to be served on a Party shall be sent by pre-paid recorded delivery or registered post or delivered by hand to the above addresses and shall be effective once received.

**მუხლი 7: პასუხისმგებლობა და ვალდებულებებისაგან გათავისუფლება**

საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, მილსადენის კომპანიებს არ ეკისრებათ სხვა ვალდებულება, გარდა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტის გადახდისა. მთავრობა მილსადენის კომპანიებს დაიცავს და გაათავისუფლებს მესამე მხარის მიმართ მატერიალური პასუხისმგებლობისაგან ნებისმიერი სახის დავის, ზიანის თუ ზარალის მიმართ, რომელიც წარმოიშვება გრანტის გადახდასთან და/ან ამ ხელშეკრულების გაფორმებასა და/ან განხორციელებასთან დაკავშირებით

საგრანტო ხელშეკრულებით და გრანტის გადახდის გათვალისწინებით მთავრობა ათავისუფლებს მილსადენის კომპანიებს, მათ აქციონერებს, აფილირებულ პირებს, თანამშრომლებსა და აგენტებს ყველა პრეტენზიამ/მოთხოვნისგან, მილსადენის მშენებლობის დროს მოჭრილ ტყესთან დაკავშირებით, გარდა ბიოაღდგენის სპეციფიკაციის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებებისა.

**მუხლი 8: ინფორმაციის გაცვლა**

საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლა განხორციელდება ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

**BTC Co an SCP Co**  
საკონტაქტო პირი: გია ღვალაძე  
მისამართი: თბილისი, საბურთალოს ქ. №38  
ტელ: +99532 59 34 00  
ელ. ფოსტა: [gvaladzg@bp.com](mailto:gvaladzg@bp.com)

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, დაცული ტერიტორიების სააგენტო  
საკონტაქტო პირი: გიორგი შონვაძე  
მისამართი: გულუას ქ. №6, თბილისი  
ტელ/ფაქსი: (+995 32) 75 23 53  
ელ. ფოსტა: [gshonvadze@gmail.com](mailto:gshonvadze@gmail.com)

ნებისმიერი შეტყობინება მხარეს გაევზავნება წინასწარ გადახდილი შეკვეთილი კორესპონდენციის სახით, შეკვეთილი ფოსტით ან ჩაბარდება პირადად ზემოხსენებულ მისამართებზე და ის მიღებისთანავე შევა ძალაში.



**Article 9: Dispute Resolution**

- (1) *The Parties shall endeavor to resolve any dispute, disagreement or claim (together, a "Dispute") that may arise between the Parties in connection with this Grant Agreement through amicable good faith negotiations between the Parties;*
- (2) *Should the Parties fail to reach agreement within 60 (sixty) calendar days following first notice by either Party of a Dispute, the Dispute may be referred by either Party to arbitration. The Parties agree that the principles of BTC HGA Article 17 are hereby incorporated herein and shall be applied mutatis mutandis to any dispute arising between the parties hereto under this Grant Agreement, providing that any references in such Article to the "MEP participants" shall be construed to mean the "Pipeline Companies" for the purposes hereof."*
- (3) *This Grant Agreement shall be governed by and construed in accordance with English law.*

**Article 10: General**

- (1) *This Grant Agreement shall take effect upon its signing by the Parties and shall remain in force until all Grant paid in accordance with the procedure specified in Articles 1, 2 and 3 shall have been used, a Report covering the use of such Grant has been provided and in case Auditor is engaged the Auditor has completed its audit and issued its final report in accordance with Article 3, unless at any time one of the conditions set forth in Article 4 occurs, in which case Pipeline Companies shall have the right to suspend disbursement of the payments, until the Government has cured the deficiency. In the event that the Government fails to cure a*

**მუხლი 9: დავების მოგვარება**

- (1) *მხარეები შეეცდებიან, რომ საგრანტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მათ შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან პრეტენზია (ერთობლივად წოდებული, როგორც „დავები“) მოაგვარონ მშვიდობიანი და კეთილსინდისიერი მოლაპარაკების გზით.*
- (2) *თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ერთ-ერთი მხარის მიერ დავის წარმოშობის შესახებ გაგზავნილი პირველი შეტყობინებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში, ნებისმიერ მხარეს შეუძლია გადასცეს დავა არბიტრაჟს. მხარეები თანხმდებიან, რომ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების“ მე-17 მუხლის პირობები წინამდებარე „საგრანტო ხელშეკრულების“ ნაწილია და ამავე „საგრანტო ხელშეკრულების“ ფარგლებში მის მხარეებს შორის წარმოშობილ დავებზე ვრცელდება, mutatis mutandis, იმ პირობით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, ზემოთყვანილ მე-17 მუხლში ნახსენები „ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილეების“ ნაცვლად ყველგან იგულისხმება „მილსადენის კომპანიები.“*
- (3) *წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულება რეგულირდება და მისი განმარტება ხორციელდება ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად.*

**მუხლი 10: ზოგადი დებულებები**

- (1) *წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაში იქნება მანამდე, სანამ არ განხორციელდება საგრანტო თანხის სრულად გადახდა 1-ელ, მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებული პროცედურების თანახმად და არ იქნება წარმოდგენილი საგრანტო თანხის გამოყენების ამსახველი ანგარიში, ასევე აუდიტორის დანიშვნის შემთხვევაში, ვიდრე აუდიტორის მიერ არ დასრულდება მისი აუდიტი და არ იქნება გამოცემული საბოლოო დასკვნა, თანახმად მე-3 მუხლისა, თუკი ნებისმიერ დროს არ დადგა მე-4 მუხლში აღნიშნული რომელიმე გარემოება, რომლის შემთხვევაში მილსადენის კომპანიებს უფლება ექნებათ, შეწყვიტონ თანხის გამოყოფა მანამ სანამ მთავრობა არ გამოასწორებს ხარვეზს. თუკი მთავრობა ვერ შეძლებს იმ გარემოების დროულად*

condition capable of being cured for a period of two years from the date Pipeline Companies notifies the Government of a suspension, then Pipeline Companies shall have the right to suspend future payments and their obligations under this Grant Agreement shall be considered fulfilled;

- (2) The Parties shall consult regarding any official public statements (e.g. press release) made or issued by them regarding this Grant Agreement or matters arising hereunder prior to such statements being made or issued. No amendment or addition to this Grant Agreement shall be valid unless made in writing and executed by the Parties;
- (3) This Grant Agreement constitutes the entire agreement between the Parties and supersedes all previous agreements, arrangements or understandings between them, whether oral or in writing, relating to the matters contained in this Grant Agreement. This Grant Agreement does not amend, modify, waive or affect in any respect the HGAs or any other Project Agreement entered into pursuant thereto. This Grant Agreement constitutes a Project Agreement for purposes of the BTC and SCPC HGAs;
- (4) Neither Party shall be liable for breach of any term of this Grant Agreement which is the result of any cause beyond the reasonable control of the Party in breach (Force Majeure);
- (5) Capitalized terms used but not defined in this Grant Agreement have the meanings assigned in the HGAs;
- (6) If and for so long as any provision of this Grant Agreement shall be deemed or judged to be invalid or unenforceable for any reason whatsoever, such invalidity or unenforceability shall not affect the validity, enforceability or

გამოსწორებას, რომელიც ექვემდებარება გამოსწორებას, და აღნიშნული გარემოება გასტანს მილსადენის კომპანიების მიერ მთავრობისათვის შეჩერების შესახებ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან ორი წლის განმავლობაში, მილსადენის კომპანიები უფლებამოსილნი იქნებიან შეაჩერონ თანხის მომდევნო ნაწილების გადახდა და საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი მათი ვალდებულებები ჩაითვლება შესრულებულად;

- (2) წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ან მისგან გამომდინარე საკითხებზე ნებისმიერი ოფიციალური საჯარო განცხადების (მაგ. პრესრელიზი) გაკეთებამდე ან გამოცემამდე, მხარეები ერთმანეთთან გაივლიან კონსულტაციებს. წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულებაში დამატებების ან ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობით, მხარეთა შეთანხმებით და ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ;
- (3) წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეებს შორის გაფორმებულ მთლიან ხელშეკრულებას და იგი აუქმებს მათ შორის საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით აღრე არსებულ ნებისმიერ წერილობით თუ ზეპირ შეთანხმებას თუ ვარიეტებს. საგრანტო ხელშეკრულება არც ერთ შემთხვევაში არ ცვლის, ასწორებს, უარყოფს ან ზემოქმედებას ახდენს ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებებზე ან მის საფუძველზე დადებულ ნებისმიერ პროექტის ხელშეკრულებაზე. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებების მიზნებისათვის, წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულება წარმოადგენს პროექტის ხელშეკრულებას;
- (4) არც ერთი მხარე არ იქნება პასუხისმგებელი საგრანტო ხელშეკრულების რომელიმე პირობის დარღვევისთვის, თუკი ამგვარი დარღვევის მიზეზი სცილდება ვალდებულების დამრღვევი მხარის გონიერული კონტროლის ფარგლებს (ფორს მაჟორი);
- (5) საგრანტო ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს, რომლებიც ცალკე განმარტებული არ არის, ენიჭება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებაში განსაზღვრული მნიშვნელობები;
- (6) იმ შემთხვევაში და იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე საგრანტო ხელშეკრულების რომელიმე დებულება, ნებისმიერი მიზეზით, მიიჩნევა ბათილად ან არააღსრულებად, ამგვარი ბათილობა ან



operation of any other provision of this Grant Agreement, and any such invalid or unenforceable provision shall be deemed severed from this Grant Agreement without affecting the validity of the rest of the Grant Agreement;



არააღსრულებადობა არ იქონიებს გავლენას საგრანტო ხელშეკრულების სხვა დებულებების ნამდვილობასა და აღსრულებაზე და ნებისმიერი ამგვარი ბათილი და არააღსრულებადი დებულება განიხილება საგრანტო ხელშეკრულებისგან დამოუკიდებლად და გავლენას არ იქონიებს საგრანტო ხელშეკრულების დარჩენილ ნაწილზე;

(7) The Grant Agreement is executed by the duly authorized representatives of the Parties in Tbilisi in two copies in the English and Georgian languages. In the event of any conflicting interpretations of any provisions of this Grant Agreement as between the English and Georgian language versions, the English language version shall prevail.


(7) წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულება გაფორმებულია ქ. თბილისში, მხარეების სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, ორ ვეზემპლარად, ინგლისურ და ქართულ ენებზე. საგრანტო ხელშეკრულების ინგლისური და ქართული ვერსიების დებულებებს შორის რაიმე შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ვერსიას.

For and on behalf of the Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline Company and the South Caucasus Pipeline Company / ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიების სახელით

By:   
Name: Neil Dunn / სახელი: ნილ დანი  
Title: general manager / თანამდებობა: გენერალური მენეჯერი



For and on behalf of the Government of Georgia / საქართველოს მთავრობის სახელით

By:   
Name: Giorgi Khachidze / სახელი: გიორგი ხაჩიძე



Title: Minister of Environment and Natural Resources of Georgia / თანამდებობა: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

Attachment #1

| Payment | BTC Co. Amount | SCP Co. Amount | Plan/Report Due Date  | Allocation Date                                  |
|---------|----------------|----------------|---|--|
| First   | USD 875,000    | USD 875,000    | A Plan submitted in 10 working days upon signature of the agreement | 30 calendar days from the submission of the Plan |
| Second  | USD 875,000    | USD 875,000    | Report By January 15, 2011  | February 15, 2011                                |

დანართი #1

| გადახდა | BTC Co.-ს მიერ გადასახდელი თანხა (\$) | SCP Co.-ს მიერ გადასახდელი თანხა (\$) | გეგმის / ანგარიშის წარდგენის თარიღი                         | თანხის გადახდის თარიღი                 |
|---------|---------------------------------------|---------------------------------------|---|--|
| პირველი | 875,000                               | 875,000                               | გეგმის წარდგენა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღეში | გეგმის წარდგენიდან 30 კალენდარულ დღეში |
| მეორე   | 875,000                               | 875,000                               | ანგარიშის წარდგენა 2011 წლის 15 იანვრამდე                   | 2011 წლის 15 თებერვალი                 |

**Sataplia State Reserve Infrastructure Development Project**

| #                  | Item   |
|--------------------|--|
| <b>Facilities</b>  |  |
| 1                  | Visitors Centre (administration, conference hall, hotel, cafeteria)  |
| 2                  | Exhibition Hall  |
| 3                  | Bistro   |
| 4                  | Conservation building of dinosaur footprints                         |
| 5                  | Entrance to the Reserve  |
| 6                  | Cave (entry and exit, track, decorative illumination, sound effects) |
| 7                  | Observation deck with panoramic view of Kutaisi City                 |
| 8                  | Playground   |
| 9                  | Public toilet facilities   |
| 10                 | Picnic area  |
| 11                 | Tomb of P. Chabukiani  |
| <b>Utilities</b>   |  |
| 12                 | External power network   |
| 13                 | External water supply system   |
| 14                 | Intrasite power network  |
| 15                 | Area lighting system   |
| 16                 | Transformer building   |
| 17                 | Generator building   |
| 18                 | Intrasite water supply system  |
| 19                 | Potable water storage tank and pumphouse                             |
| 20                 | Intrasite sewage system  |
| 21                 | Treatment facilities   |
| <b>Landscaping</b> |  |
| 22                 | Parking lot with bituminous concrete pavement                        |
| 23                 | Paved motor roads  |
| 24                 | Paved walking paths and squares                                      |

|    |  |
|----|--|
| 25 | Tracks paved in natural stone, with hand railing |
| 26 | Unpaved tracks without hand railing              |
|    | <b>Miscellaneous works</b>                       |
| 27 | Exhibit of exhibition hall                       |
| 28 | Exhibit of Jurassic park                         |
| 29 | Information panels and signage                   |
| 30 | Furniture and equipment                          |
|    | <b>Organization of Construction</b>              |
| 31 | Preparation of the site                          |
| 32 | Decommissioning of existing buildings            |
| 33 | Temporary facilities                             |



|    |  |
|----|--|
| 25 | Tracks paved in natural stone, with hand railing |
| 26 | Unpaved tracks without hand railing              |
|    | <b>Miscellaneous works</b>                       |
| 27 | Exhibit of exhibition hall                       |
| 28 | Exhibit of Jurassic park                         |
| 29 | Information panels and signage                   |
| 30 | Furniture and equipment                          |
|    | <b>Organization of Construction</b>              |
| 31 | Preparation of the site                          |
| 32 | Decommissioning of existing buildings            |
| 33 | Temporary facilities                             |



| №                             | დასახელება  |
|-------------------------------|---|
| <b>შენიშვნა-ნაბეჭობები</b>    |   |
| 1                             | ვიზიტორთა ცენტრი (აფონისტრაცია, საკონსერვაციო ღარბაზი, სასტუმრო, კაფეტერია).      |
| 2                             | საბამოშენო ღარბაზი  |
| 3                             | ბისტრო  |
| 4                             | დინოზავრის ნაკვალავის საკონსერვაციო ნაბეჭობა                                      |
| 5                             | ნაპრკაღში შესასვლელი  |
| 6                             | მღვიმე (შესასვლელი და ბაზოსასვლელი, ბილიკი, მხატვრული განათება, აუზიო ბაზორმება). |
| 7                             | ბადასახელი ძ. ქუთაისზე  |
| 8                             | საბავშვო სათამაშო მოედანი   |
| 9                             | საზობაღოებრივი ტუალეტები  |
| 10                            | საპიკნიკე ადგილი  |
| 11                            | პ. ჰაპუკიანის საფლავი   |
| <b>საინჟინრო ტექნიკა</b>      |   |
| 12                            | ბარე ელ. ტექნიკა  |
| 13                            | ბარე წყალსადენის ტექნიკა  |
| 14                            | შიდასამოედნო ელ. ტექნიკა  |
| 15                            | ტერიტორიის განათების ტექნიკა  |
| 16                            | სატრანსპორტატორო  |
| 17                            | საბენერატორო გეზრნეობა  |
| 18                            | შიდასამოედნო წყალსადენის ტექნიკა  |
| 19                            | სასმელი წყლის სამარაბო ავზი და სატუშბი საღბ.                                      |
| 20                            | შიდასამოედნო საკანალიზაციო ტექნიკა  |
| 21                            | ბამწმენდი ნაბეჭობები  |
| <b>ტერიტორიის კეთილმოწობა</b> |   |
| 22                            | ავტოსადგომი ასფალტბეტონის საფარით   |
| 23                            | საავტომობილო გზები ქვანაპილით   |
| 24                            | სასუნებავლო გზები და მოედნები ქვანაპილის საფარით.                                 |
| 25                            | ბუნებრივი ქვით მოპირკეთებული ბილიკები მოაჯირით.                                   |
| 26                            | ბრუნტის ბილიკები მოაჯირის ბარეში  |



| სსპ საშუალებები         |   |
|-------------------------|---|
| 27                      | საბამოშენო ღირებულის ექსპოზიციია        |
| 28                      | იურიული პერიოდის კარკის ექსპოზიციია     |
| 29                      | საინფორმაციო ღირებულები და გაჩვენებლები |
| 30                      | ავიჯი და ინვენტარი                      |
| მშენებლობის ორგანიზაცია |   |
| 31                      | ტერიტორიის მომზადება                    |
| 32                      | არსებული ნაბეობების დემონტაჟი           |
| 33                      | ღრეობითი შენობა-ნაბეობები               |

